შეთანხმების აქტი

N 138 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.ცაგერი

23 დეკემბერი 2016 წელი.

ერთის მხრივ, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ამერაუდიტ 2008“-ის დირექტორის დეზდემონ მაღლაკელიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) ვაფორმებთ შეთანხმების აქტს.

შპს „ამერაუდიტ 2008“-სა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის 2016 წლის 15სექტემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 138 ბუღალტრულ აღრიცხვაში გამარტივებული კომპიუტერული პროგრამების დანერგვა და სწავლება .პრაქტიკული დახმარება კომპიუტერულ პროგრამებში ,ოპერაციების შეტანაში და 2014-2015 წლების მიხედვით ფინანსური ანგარიშების შედგენის მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე;

მუნიციპალიტეტის ნაერთი ბიუჯეტის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოქმედ კანონმდებლობაში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა ,რაც საჭიროებს ხელშეკრულების მიწოდების და მოქმედების ვადებში ცვლილების შეტანას.

ამდენად ვთანხმდებით შემდეგზე:

ხელშეკრულების 5.1 და 10.1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 1 მარტამდე .

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 5 აპრილამდე.

შეთანხმების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის

გამგებელი რევაზ ბენიძე

_____

მიმწოდებელი: შპს „ამერაუდიტ 2008“-ის

დირექტორი დეზდემონ მაღლაკელიძე

_____